წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №1

ქ. წყალტუბო 11იანვარი, 2023 წელი

2023 წლის 11 იანვარს 13:00 საათზე ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თეიმურაზ ჭეიშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: კობა გურეშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: სერგო კირკიტაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: გიორგი დოლიძე

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები: არჩილ ღიბრაძე, მაკა ჭელიძე, რევაზ დიდავა, შალვა კილაძე, ლევან ჩანქსელიანი;

ფრაქციების თავმჯდომარეები: გიორგი ფაჩუაშვილი,ზურაბ ლექვინაძე,

წევრები: ვლადიმერ ხურცია, ლატავრა ბენდელიანი, ომარ სინაურიძე, გრიგოლ მაღლაფერიძე, დავით ხიდეშელი, ვასილ მხეცაძე, მამუკა ჩხეტიანი, ირინე ცაავა, იასონ ბზიკაძე, ხათუნა მაღლაკელიძე, ავთანდილ მხეიძე, ალექსანდრე ნიქაბაძე, ნინო ჭეიშვილი, ვეფხვია ბანძელაძე, თენგიზ გოგელია, ავთანდილ გაბუნია, სოფიო ბოლქვაძე, გალაქტიონ ხარაბაძე, რუსუდან მანაგაძე, ზურაბ იოსელიანი, ნარგიზა ტყაბლაძე, გელა ბურჯალიანი, ნოდარ ასათიანი;

სხდომას არ ესწრებოდნენ: ნაილი ჭოლაძე, ჯეირან ომანაძე, სალომე ჯიმშელეიშვილი, დევი დოლაბერიძე, ფიქრია ერემეიშვილი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - ნათია ჩაკვეტაძე, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე მზია კიკალიშვილი, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი-გელა თათარაშვილი, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-ალექსანდრე დადუნაშვილი, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი მაია ბერაძე, საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-ირინა ჩაკვეტაძე და საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა.მან საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნარგიზა ტყაბლაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

/მომხს: მაკა ჭელიძე/

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ.

/მომხს: მაკა ჭელიძე/

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: შალვა კილაძე, თანამომხს: ნათია ჩაკვეტაძე/

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:
მომხრე-34
წინააღმდეგი -0
დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაკა ჭელიძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნარგიზა ტყაბლაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ''.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.
მომხრე-34
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: ცნობილ იქნეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის როინ როხვაძის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის - ნარგიზა ტყაბლაძის უფლებამოსილება 2023 წლის 11 იანვრიდან და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.
2.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაკა ჭელიძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: ზურაბ ლექვინაძემ დასვა შეკითხვა: რამ გამოიწვია ეს ცვლილება?

დასმულ შეკითხვას უპასუხა საკრებულოს აპარატის უფროსმა გელა თათარაშვილი.მან აღნიშნა, რომ ,,შრომის ანაზღაურების შესახებ'' საქართველოს კანონით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შტატით გათვალისწინებულ დასაქმებულთა რიცხვიანობის 1%-ს, ხოლო 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'' საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობასთან დაკავშირებული შეზღუდვიდან გამონაკლისი ხდება მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

ვინაიდან მერიაში არის 18 ერთეული , ხოლო საკრებულოში 10 ერთეული იმ პირებისა, რომლებიც არიან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულები, საჭიროა საკრებულომ შეითანხმოს გამონაკლისი მერიის შემთხვევაში-13, ხოლო საკრებულოს შემთხვევაში 10 ერთეულის.ამიტომაც მოხდა განკარგულების მომზადება საკრებულოს აპარატის მიერ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-34

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

3.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შალვა კილაძის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ''

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :ზურაბ ლექვინაძემ დასვა შეკითხვა: რამდენი ათასი ლარით გაიზარდა ბიუჯეტში თანხა ?

დასმულ შეკითხვას უპასუხა ნათია ჩაკვეტაძემ. მან აღნიშანა, რომ ბიუჯეტში თანხა გაიზარდა 115 ათასი ლარით.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე-34

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის

წესის დამტკიცების შესახებ" მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: თეიმურაზ ჭეიშვილი

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნონა ტაბიძე